

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის აქტუალურობა და გამოწვევები
საქართველოში



ნინო მეხაშიშვილი
ლაშა დემეტრაშვილი
მიხეილ ჩაჩანიძე

ჯგუფის N9

*სამაგისტრო პროექტის ანგარიში წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლაში*

პროექტის ხელმძღვანელი: გიორგი ბაქრაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2017

აბსტრაქტი

დეპოზიტების დაზღვევის დროულობის, ადეკვატურობის, მაკროეკონომიკული და ფინანსური სექტორის კვლევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი განვითარებადი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა.

კვლევის ამოცანაა შეისწავლოს საერთაშორისო დონეზე აღნიშნული პრაქტიკა კავკასიის რეგიონში, ევროპასა და ამერიკაში. კვლევის ამოცანაა საქართველოს როგორც განვითარებადი ქვეყნის მაკროეკონომიკული განხილვა, ანალიზი, ასევე საბანკო სისტემის მდგრადობის შესწავლა. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, აღნიშნული ნაშრომი განიხილავს რამდენად დაცულად გრძნობენ თავს დეპოზიტარები, არსებებს თუ არა საფრთხე რომ არ დააკმაყოფილონ კომერციულმა ბანკებმა დეპოზიტარების მიმართ წარმოქმნილი ვალდებულებები.

ნაშრომში მოცემული ინფორმაცია გაანალიზებულია სხვადასხვა სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით: ჩავატარეთ ფიზიკური პირების გამოკითხვა, გამოვკითხეთ ეკონომიკის ექსპერტები, მთავრობის წარმომადგენლები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ ამ კანონპროექტის შემუშავებაში, ასევე კომერციული ბანკები. ჩავატარეთ მეორადი კვლევა თუ როგორ ტენდენცია იყო ქვეყანაში წლების მიხედვით, როგორ იზრდება დეპოზიტარების მოცულობა მათ რაოდენობასთან ერთად. ასევე კომერციული ბანკების სააქციო კაპიტალის ზრდის ცვალებადობის ტენდენცია გასული წლების მიხედვით.

ნაშრომში დეტალურად აღწერილია კანონპროექტი სრულად. ასევე პარალელი გავლებულია უცხოურ პრაქტიკასთან. ზოგადად ამ პრობლემის წარმოშობის იდეა რომელი ქვეყნიდან მოდის და რატომ დადგა დღის წესრიგში. ასევე ქართული ბაზრის მაკროეკონომიკური და ფინანსური ინსტიტუტების მიმოხილვა. ნაშრომი არის პირველი საქართველოში, რომელიც წარმოადგენს საკითხის ირგვლივ მრავალმხრივ კვლევას, რომელიც წარმოადგენს სტატისტიკური მონაცემების, ანგარიშების, ექსპერტთა დასკვნების, წარმოადგენს საკითხის შეჯერებას და შეფასებას.

კვლევა და მისი შედეგები მნიშვნელოვანია, როგორც ბიზნესის ადმინისტრირებისთვის, ასევე სამთავრობო-არასამთავრობო სექტორისთვის, კომერციული ბანკების

მენეჯმენტისთვის, დეპოზიტარებისთვის და ასევე ფართო საზოგადოებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან დეპოზიტზე თანხის განთავსებით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: დეპოზიტების დაზღვევა, ევროკავშირი, ასოცირების ხელშეკრულება, საფინანსო, ორგანიზაციები, ბანკები, კვლევა.

Abstract

Timeliness and adequacy of deposit insurance, study of macroeconomic and financial sector is exclusively important for such countries as Georgia.

The goal of research is to study the international practice in the Caucasus region, Europe and America. The study aims to review, analyze macroeconomics of Georgia as of the developing country and the sustainability of the banking system in Georgia. Consequent to the goals of study, the paper reviews if the depositors are secured, or is there any danger or not if the commercial banks do not satisfy their duties towards the depositors.

The information given in the paper is analyzed by various statistical data: interviewing individuals, economic experts and representatives of the government, who personally participated in creating the draft law and commercial banks as well. We have carried out the secondary study on what tendency was in the country for years and how the number of depositors has increased.

In addition, the tendency of unsteadiness of the share capital growth of the commercial banks in previous years is described. The draft law is reviewed in details and it is compared with the foreign practice. In general, the origin of the idea of such a problem and the reasons of its discussion are reviewed.

Macroeconomic and financial institutions on the Georgian market are viewed as well. The paper is the first one in Georgia, which presents various studies on the issue, which includes various statistical data, reports and conclusions of experts, summary and assessment of the problem. The study and its results are important both for business administration and public or private sector, for the management of commercial banks, depositors and the society, those who are interested in placing money on deposit.

Key Words: Deposit Insurance, European Union, Associate Agreement, Financial Organizations, Banks, Study.

მადლობა

მადლობას ვუხდით სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს გიორგი ბაქრაძეს, რომელმაც მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია საკვლევით თემატიკის კონკრეტიზაციასა და მიზნების ფორმულირებაში. მადლობა გვინდა გადავუხადოთ კვლევის ფარგლებში ჩართულ ექსპერტებს. მათი მონაწილეობა საექსპერტო გამოკითხვაში და შეფასებები მნიშვნელოვანი იყო აღნიშნულ ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის შედეგებისთვის, დასკვნებისა და რეკომენდაციებისთვის.

ასევე, მადლობას ვუხდით გამოკითხვაში მონაწილე ყველა რესპოდენტს, რომელთა შორის არიან როგორც სამთავრობო, არასამთავრობო, ასევე ფინანსური ინსტიტუტის წარმომადგენელი.